ომი, როგორც ერთა იმიჯის ფორმირების ინსტრუმენტი

(რუსეთისა და უკრაინის მაგალითზე)

თამარ მირიანაშვილი

თამარ ძიძიკაშვილი

მარიამ არღვლიანი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული შესაბამისი წესის მიხედვით.

მ. არღვლიანი, თ. ძიძიკაშვილი, თ. მირიანაშვილი

30.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, იკვლიოს, როგორ ფორმირდა რუსეთისა და უკრაინის იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე 2022 წლის თებერვალში დაწყებული ომის შემდგომ. მასში განხილულია ომი, როგორც ერისა და ქვეყნის იმიჯის ფორმირების ინსტრუმენტი. გაანალიზებულია 2022 წლის რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მაგალითი, რომელმაც მოგვცა საშუალება, გამოგვერკვია, რა გავლენას ახდენს ომი კონკრეტული სახელმწიფოების რეპუტაციაზე.

ნაშრომში განხილულია, რა არის ზოგადად იმიჯი და როგორ ყალიბდება ის, რა სხვაობაა იმიჯსა და რეპუტაციას შორის, რა ახდენს გავლენას მის ფორმირებაზე, რა ინსტრუმენტებია საჭირო იმიჯის ჩამოყალიბებისთვის. ნაშრომის ფარგლებში, რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითზე, ყურადღება გავამახვილეთ ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა, საომარი კონფლიქტების ზეგავლენა ერისა და ქვეყნის იმიჯსა და რეპუტაციაზე. ეს საკითხი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ომი დაწყებიდან 4 თვის თავზე დასრულებული ჯერაც არ არის.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, ჩვენ გავაანალიზეთ უკვე არსებული რელევანტური წყაროები, მიმოვიხილეთ რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის წარსული პერიპეტიები და პარალელები გავავლეთ შექმნილ რეალობასთან, ამასთან, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, ვიმსჯელეთ, როგორ ფორმირდა ომში მონაწილე სახელმწიფოების იმიჯი ბოლო 4 თვის მანძილზე. ამისთვის კი შევიმუშავეთ კვლევის გეგმა, გავწერეთ კონკრეტული მეთოდები, კერძოდ, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის კომპონენტები, შევუმუშავეთ საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზები. საბოლოოდ კი მედიის ანალიზის, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და საკითხთან დაკავშირებული დარგის სპეციალისტების მოსაზრებების შეჯამებით კონკრეტული დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვეცა.

Abstract

This research presents how formed Russian and Ukrainian images after the war which started in February 2022. This study focus on war as an instrument of forming and transforming the image of countries.

We analyzed the conflict between Russia and Ukrainian to discover what effect may have on war on a country's reputation. In research, we reviewed what an image is in general and how it is formed, what's the difference between image and reputation, and what instrument is important to form an image.

We take into consideration aspects like a fighting conflict's effects on nations' and governments' image, and reputation. This issue is susceptible because after four mount war is still not finished. During this research, we analyzed exciting relevant sources, discussed Russian and Ukrainian relationships, and make parallels with today. On exciting examples, we conclude how was formed both countries images during the last four months.

We made a research plan, research methods, qualitative and quantitative, and developed research questions and hypotheses. At last, with analysis of media, public opinion, and viewpoint experts of the sphere come to conclusions.